

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სკოლამდელი განათლება

თბილისი

2018 წელი

წინასიტყვაობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ია ერაძე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის შედეგების, ბოლო წლებში ქვეყანაში ყველაზე მოთხოვნი და დეფიციტური პროფესიების ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შემოწმება წარმოებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, რომელიც არ აღემატება 12 თვეს.

პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს.

პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

1. სახელწოდება - სკოლამდელი განათლება
2. სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა: 02117-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
4. მიზანი - პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას, უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემოს უზრუნველყოფას, ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაციასა და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.
5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება
6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

სკოლამდელ აღზრდაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

7. სტრუქტურა და მოდულები

სკოლამდელი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 116 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 22 თვე.

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 146 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 28 თვე.

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინგლისური ენა	საბაზო განათლება	5
2	მეწარმეობა 3	სრული ზოგადი განათლება	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	სრული ზოგადი განათლება	3
სულ			11
სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	2
2	პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	12
3	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	5

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

4	პროფესიული ეტიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	3
5	ბავშვის განვითარების თავისებურებები	სრული ზოგადი განათლება	4
6	ადრეული განათლების კურიკულუმები	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები	5
7	დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები	6
8	დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები - საგანმანათლებლო გარემო - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	3
9	ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	3
10	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	სრული ზოგადი განათლება	6
11	თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები	2
12	საგანმანათლებლო გარემო	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები - დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	8
13	ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები - საგანმანათლებლო გარემო - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	2
14	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები	9

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

		- საგანმანათლებლო გარემო	
15	კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო - დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	4
16	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	მოდულები: - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო - დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	5
17	წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო	3
18	სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ადრეული განათლების კურიკულუმები - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო - დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	3
19	პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო	3
20	მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო	4
21	კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ადრეული განათლების კურიკულუმები - დაკვირვება და შეფასება ადრეულ და	5

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

		სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო	
22	კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო	3
23	ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები - დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო	2
24	მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	მოდულები: - შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში - ბავშვის განვითარების თავისებურებები - ადრეული განათლების კურიკულუმები - ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია - საგანმანათლებლო გარემო	3
სულ			105

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა - სწავლის შედეგები

აღზრდელის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ა) ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის პოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ბ) მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღზრდელი პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- გ) ბავშვის განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- დ) წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღზრდელი გარემოს შექმნა.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

სწავლის შედეგების დადასტურების შეფასებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში მოითხოვოს განმეორებით გასვლა სწავლის შედეგების დასადასტურებლად. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

10. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

ა) საქართველოს კანონი – „პროფესიული განათლების შესახებ“;

ბ) საქართველოს კანონი – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;

გ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;

დ) „ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტის“ პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 18 სექტემბრის №594 ბრძანება.

ე) აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

13. ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება

პირს ქართული ენის კომპეტენცია უდასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მტკიცებულების წარმოდგენის საფუძველზე:

- თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ პირმა გაიარა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა და წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს;

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

- თუ პირმა აკადემიის მიერ დადგენილი წესით წარმატებით გაიარა საქართველოს ბიზნესის აკადემია
- SBA-ის მიერ ჩატარებული ქართული ენის სასერტიფიკატო გამოცდა და წარმოადგენს დამადასტურებელ სერტიფიკატს.

პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია „მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

14. აღზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება შემდეგ ობიექტებზე:

- ა(ა)იპ ქ. თბილისის N76 ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, ახვლედიანის ქ. N14
- ა(ა)იპ ქ. თბილისის N145 ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის მე-4 შესახვევი N4
- ა(ა)იპ ქ. თბილისის N58 ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის 111
- ა(ა)იპ ქ. თბილისის N36 ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N30

დანართები:

1. დანართი 1 - მოდული ინგლისური ენა 0230102
2. დანართი 2 - მოდული მეწარმეობა 3 0410005
3. დანართი 3 - მოდული ინფორმაციული წიგნიერება 2 0610004
4. დანართი 4 - მოდული გაცნობითი პრაქტიკა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება 0211718
5. დანართი 5 - მოდული პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება 0211719
6. დანართი 6 - მოდული შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში 0211701
7. დანართი 7 - მოდული პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 0211711
8. დანართი 8 - მოდული ბავშვის განვითარების თავისებურებები 0211712
9. დანართი 9 - მოდული ადრეული განათლების კურიკულუმები 0211703
10. დანართი 10 - მოდული დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 0211706
11. დანართი 11 - მოდული დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში 0211721
12. დანართი 12 - მოდული ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 0211723
13. დანართი 13 - მოდული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება 0211714
14. დანართი 14 - მოდული თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 0211702
15. დანართი 15 - მოდული საგანმანათლებლო გარემო 0211709
16. დანართი 16 - მოდული ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში 0211724
17. დანართი 17 - მოდული ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 0211722
18. დანართი 18 - მოდული კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში 0211707
19. დანართი 19 - მოდული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 0211705
20. დანართი 20 - მოდული წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში 0211713
21. დანართი 21 - მოდული სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში 0211720
22. დანართი 22 - მოდული პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში 0211715
23. დანართი 23 - მოდული მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში 0211708
24. დანართი 24 - მოდული კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში 0211704
25. დანართი 25 - მოდული კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში 0211710
26. დანართი 26 - მოდული ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 0211717
27. დანართი 27 - მოდული მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში 0211716
28. დანართი 28 - მოდული ქართული ენა A2 0110001
29. დანართი 29 - მოდული ქართული ენა B1 0110002
30. დანართი 30 - სასწავლო გეგმა
31. დანართი 31 - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ